თბილისი **ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა** 10 აპრილი 2013 წ.

02/47

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, შპს "**სტუდია ვებჯორჯია**" მისი დამფუძნებელ-დირექტორის ვახტანგ ჯინჯიხაძის სახით (შემდგომში – შემსრულებელი) ერთის მხრივ და მეორეს მხრივ (შემდგომში დამკვეთი): **ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი** მისი ხელმძღვანელი **მერაბ ბერიძე** ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანი მოიცავს შემდეგ მომსახურებას: შესაბამისი ობიექტის **საიტის, ფეისბუკის გვერდის ლინკის** ან **საპრეზენტაციო გვერდის** დამზადება და განთავსება საინფორმაციო–შემეცნებით პორტალზე CODNA.GE

1.2 საპრეზენტაციო გვერდი მოიცავს: ინფორმაციას, ობიექტის ადგილმდებარეობის ამსახველ რუკას, მაქსიმუმ 10 ფოტოსურათს და 4 ვიდეო–ფაილის ლინკს (ვიდეო ფაილი განთავსებული უნდა იყოს საიტზე **www.youtube.com**).

1.3 საპრეზენტაციო გვერდის შემთხვევაში თბილისის მასშტაბით მომსახურებაში ობიექტის ადგილმდებარეობის ამსახველი რუკის დამზადება და აუცილებლობის შემთხვევაში ფოტო მასალის გადაღებაც შედის.

1.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის შემდეგ სურვილის შემთხვევაში დამკვეთი მისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდის სამართავი პანელის მონაცემებს ღებულობს, რომლითაც მას თავისი საპრეზენტაციო გვერდის მისი სურვილისამებრ მართვა (ინფორმაციის, სურათების, რუკის ან ვიდეო–ფაილების ლინკის გამოცვლა) შეეძლება.

2.მხარეთა უფლება–მოვალეობები

2.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების დადებიდან **5** (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში შემეცნებით პორტალზე CODNA.GE განათავსოს შესაბამისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდი ან საიტის ლინკი და ამის შესახებ აცნობოს დამკვეთს (ხელშეკრულებაში მითითებულ **mail**-ზე გაუგზავნოს შეტყობინება) .

2.2. დამკვეთი მოვალეა შემსრულებელს დროულად მიაწოდოს საპრეზენტაციო გვერდისთვის საჭირო მასალა (ინფორმაცია, ფოტო–მასალა და სხვ.) და მისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდის ან საიტის ლინკის განთავსებიდან **3** (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადი.

2.3 შესაბამისი ლინკის ან საპრეზენტაციო გვერდის განთავსებიდან **1 თვის** განმავლობაში, თუ დამკვეთი არ გადაიხდის ხელშეკრულებით განსაზღვრულ გადასახადს, შემსრულებელი უფლებას იტოვებს, რომ CODNA.GE-დან შესაბამისი ლინკი ან საპრეზენტაციო გვერდი გათიშოს და ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სასამართლოს მიმართოს.

2.4 მხარეები ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან მათთვის დაუძლეველი ძალის – **ფორს–მაჟორის** (საბრძოლო მოქმედება, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი ან სხვ.) მსვლელობის პერიოდში თავისუფლდებიან.

3. მომსახურების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. საპრეზენტაციო გვერდის დამზადების და განთავსების ღირებულება წელიწადში **250** ლარით განისაზღვრება.

3.2 ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით ხორციელდება.

4. დავების გადაწყვეტის წესი

4.1 მხარეები იღებენ ზომებს, რათა ამ ხელშეკრულებიდან წამოჭრილი ყველა დავა მოლაპარაკების გზით გადაწყდეს.

4.2 წინააღმდეგ შემთხვევაში დავა მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლოს გზით გადაწყდება.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა **12** თვით განისაზღვრება.

5.2. ხელშეკრულება ძალაში მხარეების მიერ ხელის მოწერის მომენტიდან შედის.

შემსრულებელი	**დამკვეთი**
შ.პ.ს. "**სტუდია ვებჯორჯია**" მის: თბილისი, ვ. ფშაველას N45	**ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი** ახალციხე, *რუსთაველის ქ. № 106*
ტელ: 2 328-228 **მობ**: 555 603 306 **mail**: webgeorgia@gmail.com	(0325) 22 19 90 *contact@astu.edu.ge*
საიდენტიფიკაციო კოდი - 205197320	**424066977**
სს "თიბისი ბანკი" ანგ/N **GE57 TB73 0283 6020 1000 01**	სს"ლიბერთიბანკი"**LBRTGE22** ანგ/N **GE86LB0115159915830001**

STUDIO WebGeorgia 205197320 GEORGIA "STUDIO WEBGEORGIA" LTD

PRO LEGE 424066977